

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 105-ე წლისთავი

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ, ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისთვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისკენ!

„პრავდის" კროსის ფინალი თბილისში ჩინებულად ჩატარდა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 79 (5369) 22 აპრილი, სამშაბათი. 1975 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ПРАВДА

მძლეოსნური კროსი

1975

თბილისი

ნაბიჯი წინ

თბილისის იპოდრომს ასე ადრიანად ჯერ არც ერთი ასპარეზობის მონაწილენი და მაყურებლები არ სწვევიან. ცხრის ნახევარზე ტრიბუნები უკვე სანახევროდ სავსე იყო, სპორტის მოყვარულთა ნაკადს კი ბოლო არ უჩანდა. მსაჯთა კოლეგია უფრო ადრე მოსული იყო — სარბიელს ერთხელ კიდევ ამოწმებდა, ბრიგადებს ანაწილებდა, თავ-თავის ადგილს უჩენდა...

შეჯიბრების გახსნის ზეიმის მონაწილენი პირველი ბილიკის სიღრმეში გროვდებოდნენ, ადგილებს იკავებდნენ. მაყურებელი მოდიოდა და მოდიოდა — ყველას აინტერესებდა, როგორ ჩატარდებოდა ჩვენს დედაქალაქში „პრავდის" მძლეოსნური კროსის XIV ფინალური შეჯიბრება, რომელი ოთხი მონაწილე მოიპოვებდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს, ვის დარჩებოდა სხვა დისტანციებზე გამარჯვება...

ცხრას რამდენიმე წუთი აკლია. მთავრობის ლოჟაში ადგილებს იკავებენ პ. გილაშვილი, გ. კოლბინი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ქ. შარტავა, ო. ჩერქეზია.

გაისმის სამწყობრო მუსიკის ხმა. კოლონა, რომელსაც წინ მიუძღვის რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. შავლაყაძე, ცენტრალური ტრიბუნისკენ დაიძრა. ალლუმის მონაწილეებს მიესალმნენ „პრავდის" საკავშირო კროსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე და გაზეთ „პრავდის" პასუხისმგებელი მდივანი ს. ცუკანოვი.

განვლილი კროსების საუკეთესო მძლეოსნებს მოაქვთ სსრ კავშირის დროშა, რომელსაც ანძაზე ამაგრებენ და შეჯიბრების გახსნის ნიშნად სსრ კავშირისა და საქართველოს ჰიმნების ხმაზე მაღლა აღმართავენ.

თბილისელმა პიონერებმა დელეგაციების წარმომადგენლებს თაიგულები მიართვეს.

კოლონასთან ჩამოდგა ჯავშანტრანსპორტიორი, რომელზეც დგანან სამამულო ომის ვეტერანები, გადამდგარი გენერალ-მაიორი პ. აბრამიძე, საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის პოლკოვნიკი პ. წიქორიძე, პარტიზანული ბრძოლების მონაწილე დ. იოსელიანი, გვარდიის გადამდგარი პოლკოვნიკი გ. გამზარდია. შეჯიბრების მონაწილე დელეგაციების წარმომადგენლებმა თაიგულები ტრანსპორტიორზე აიტანეს. მანქანა ლენინის სახელობის მოედნისკენ დაიძრა, სადაც გვირგვინებით უნდა შეემკოთ ლენინის ძეგლი.

... ცად აჭრილმა მაშხალამ მაყურებელს 2000 მეტრზე ქალიშვილების პირველი გარბენის დაწყება ამცნო. ორიოდე წუთის შემდეგ სულ სხვა ადგილზე დაიქუხა დამბაჩამ, ჰაერში

(დასასრული მე-2 გვ.).

სიტყვა ეძლევათ ჩემპიონებს

თბილისს რა დამავიწყებს!

სირბილი ყოველთვის მიყვარდა. სკოლაში ვერავინ მჯობდა, მაგრამ ინტენსიური ვარჯიში მხოლოდ მწვრთნელმა საიფულინმა დამაწყებინა. მალე ანდიჟანში უძლიერესის სახელი მოვიპოვე, მერე კი უზბეკეთის ჩემპიონი გავხდი და რესპუბლიკის ნაკრებში ჩამრიცხეს. შარშან ფრუნზეში გამართულ „პრავდის" კროსში 2000 მეტრზე რბენაში VI ადგილი დავიკავე. ამ წარმატებამ საკუთარ ძალაში დამარწმუნა, უფრო ენერგიულად ვარჯიშისადმი ინტერესი გამიღვიძა და 1500 მეტრზე რბენაში საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც მოვიპოვე.

თბილისში რომ მოვდიოდი, სიმართლე გითხრათ, საპრიზო ადგილის მოპოვების იმედი არ მქონდა. ვიცოდი, რომ 3000 მეტრზე შეჯიბრებაში ქვეყნის ჩემპიონატის მედლებისა და „პრავდის" კროსის პრიზიორის სახელისთვის ბრძოლა სსრ კავშირის უძლიერეს მორბენლებთან მომიწევდა, მაგრამ თურმე რა დიდი ყოფილა მწვრთნელის შთაგონების ძალა.

დისტანციაზე ასამდე ქალი ვიბრძოდით. ოთხი გარბენი მოეწყო. პირველი გარბენი თბილისელმა პირველთანრიგოსანმა ნინა ბეზსუბენკოვამ რომ მოიგო, ვიფიქრე, ჩემი საქმე წასულია-მეთქი (უძლიერესთა გარბენში მხოლოდ სპორტის ოსტატებს მოგვიყარეს თავი), მაგრამ...

... შუა დისტანციამდე წინ მხოლოდ სპორტის ოსტატებს, ლენინგრადელ ირინა ბონდარჩუკს, ჩელიაბინსკელ ნადია მედვედევასა და სპორტის დამსახურებულ ოსტატს, კრასნოდარელ ლიუდმილა ბრაგინას ვხედავდი. თავს ძალიან მსუბუქად ვგრძნობდი. ვიფიქრე, ვცდი, იქნებ ეს ძალა ფინიშამდე მიმყვეს-მეთქი და ტემპს მოვუმატე. ბოლო წრეზე მეტოქეებისა მხოლოდ ფეხის ხმა მესმოდა. ფინიშთან ვიღაცის სუნთქვაც ვიგრძენი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. მე გავიმარჯვე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი და კროსის ამ დისტანციაზე პირველი საკავშირო მიღწევა დავამყარე — 9.21,0.

ამ ქალაქს, იპოდრომს, სადაც სამმაგი გამარჯვება ვიზეიმე, რაღა დამავიწყებს? ახლა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მოვემზადები. იქნებ თბილისში ასე კარგად აღებული სტარტის შემდეგ მოსკოვშიც იღბლიანი ფინიში მქონდეს.

ს. ულმასოვა,

უზბეკეთის სსრ ნაკრები გუნდის წევრი, ანდიჟანის ტაქსომოტორების პარკის დისპეტჩერი.

• • •

სურათზე: ს. ულმასოვა ფინიშთან. მის უკან ლ. ბრაგინაა.

ო. გელაშვილის ფოტო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს

„პრავდის" კროსმა ბევრ სტაიერს მისცა სსრ კავშირის ნაკრების საგზური. ვინც წინა ცამეტ კროსში 8000 მეტრზე რბენაში საპრიზო ადგილი დაიკავა, მან შემდეგ სტადიონის ბილიკებზე 5 და 10 კილომეტრზე რბენაშიც ისახელა თავი. ბოლოტნიკოვი, სვირიდოვი, მიკიტენკო, ჟელობოვსკი, ბორდანკოვი სხვადასხვა დროს სწორედ „პრავდის" მძლეოსნური კროსის ჩემპიონები იყვნენ წლევანდლამდე ყველაზე გრძელ მანძილზე რბენაში. აქედან მიიღეს მათ დიდი მძლეოსნობის საგზური. მეც ალბათ ამიტომ გამიხარდა, რომ წლეულს ჩემი რესპუბლიკის ნაკრებში სწორედ ამ დისტანციაზე რბენა დამავალეს.

გამოცდილი სტაიერებიდან თბილისში მხოლოდ ჟელობოვსკი ჩამოვიდა. სამაგიეროდ, სხვები, უფრო ახალგაზრდები, უფრო პერსპექტიული სპორტსმენები ბლომად იყვნენ. ამიტომაც თბილისის იპოდრომზე ყველაზე მასობრივი შეჯიბრება სწორედ 8000 მეტრზე რბენა იყო.

ტალინში სპორტსაზოგადოება „იიუდის" წევრი ვარ. სტაიერობა ხუთი წლის წინათ დავიწყე. ვილნიუსში გამართულ „პრავდის" XII საკავშირო კროსში 5000 მეტრზე ავიღე სტარტი, ასაკის გამო უფრო დიდ მანძილზე გამოსვლის უფლება არ მქონდა. მაშინ III ადგილი დავიკავე — 14.28,4. შარშან ფრუნზეში იუნიორებისთვისაც 3000 მეტრი იყო პროგრამაში. მაშინ I ადგილი მოვიპოვე.

მაგრამ ნამდვილ სტაიერად თავი მხოლოდ თბილისის იპოდრომზე ვიგრძენი. ძნელი ბრძოლა გადამხდა, ძალიან ძნელი. სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ჩემს გარდა კიდევ 194 სპორტსმენი იბრძოდა. ყველა თავდაუზოგავად მიიწევდა წინ. დაწინაურებას ბევრჯერ შევეცადე, მაგრამ გროდნოელი ალექსანდრე ლუკოვიჩის, ერევნელი არტაშეს მიქოიანის, ვოლგოგრადელი მიხეილ ულიმოვის ჩამოტოვება დიდხანს ვერ მოვახერხე. ამ მდევრებს როგორც იყო მხოლოდ უკანასკნელ სწორზე დავუძვერი ხელიდან და მძლავრი სპურტის წყალობით ორ წამზე მეტით ვაჯობე. ჩემი შედეგი (22.56,2) „პრავდის" კროსის 14-წლიდან ისტორიაში მერვეა საერთოდ. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს: მე ხომ ჯერ 21 წლისა ვარ, ეს კი სტაიერისთვის „პიონერული" ასაკია.

ე. სელიკი,

სსრ კავშირის ჩემპიონი 8000 მეტრზე რბენაში.

• • •

სურათზე: ე. სელიკი ფინიშთან.

ო. გელაშვილის ფოტო.

გამოცდილების გაზიარების მიზნით

თბილისში გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს 60-მდე კორესპონდენტი იყო ჩამოსული. ალბათ ყველა მათგანის აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ „პრავდის" XIV კროსის ორგანიზაციით, შეჯიბრების მაღალი დონით, მასპინძლობით ძალიან კმაყოფილი ვართ. ტურნირმა უნაკლოდ ჩაიარა.

„პრავდის" თითქმის ყველა კროსზე ვყოფილვარ, მაგრამ ამდენი მაყურებელი არსად მინახავს. დასანანია, რომ ბევრს უამინდობამ არ აცალა ბრძოლების თავიდან ბოლომდე ნახვა. მაგრამ, წვიმის მიუხედავად, ტრიბუნებზე გულშემატკივრები მაინც საკმაოდ დარჩნენ.

ჟურნალისტებისთვის მუშაობაში ხელი არაფერს შეუშლია. ყველგან — სასტუმროში, პრეს-ცენტრში, შტაბში, იპოდრომზე, ფილარმონიაში გამართულ მეგობრობის საღამოზე ნამდვილ სტუმართმოყვარეობას ვგრძნობდით.

მე, როგორც ჟურნალისტს, გამოცდილების გაზიარების მიზნით მაინტერესებდა, როგორ აშუქებდა საქართველოს პრესა კროსისთვის მზადებას. „პრავდის" რომელიმე კროსი ალბათ ლატვიაშიც ჩატარდება და მაშინ ჩვენც დიდი მუშაობა მოგვიწევს. რესპუბლიკურმა გაზეთებმა დიდი ადგილი დაუთმეს კროსს და ძალიან შეუწყვეს ხელი ამ შეჯიბრებას.

გ. გრუნდულისი,

ლატვიის სპორტულ გაზეთ „სპორტის" მასობრივ სახეობათა განყოფილების გამგე.

ПРАВДА
მძლეოსნური კროსი
1975
თბილისი

ნაბიჯი წინ

დასასრული

სხვაფერმა მაშხალამ გაიზუზუნა. ეს 5000 მეტრზე ბრძოლის სტარტის ნიშანი გახლდათ. კიდევ 3 წუთი გავიდა და იქ, სადაც 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორთა სტარტი იყო, პირველი გარბენის მონაწილეთა ბრძოლაში ჩაბმის ნიშნად ისევ სხვაფერმა ნიშანმა გაიელვა.

გარბენს გარბენი ცვლიდა. ვალმოხდილნი ტრიბუნებისკენ მიეშურებოდნენ, ბილიკებზე მათს ადგილებს სხვები იკავებდნენ...

მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვეტერანების შეჯიბრებამ და იმ დისტანციებზე ასპარეზობამ, რომლებზეც სსრ კავშირის ჩემპიონატის მედლებიც თამაშდებოდა.

...ერთ-ერთ გარბენში მაყურებლები თბილისელი სპორტსმენის გამარჯვების მოწმენიც გახდნენ. ქალთა შორის 3000 მეტრზე პირველმა გარბენმა 28 მონაწილეს მოუყარა თავი. მათ შორის 6 სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო. ფინიშთან ყველაზე ადრე კი პირველთანრიგოსანი მიიჭრა — თბილისის მწვრთნელთა სკოლის მოსწავლემ ნ. ბეზზუბენკოვამ („განთიადი") უახლოეს მეტოქეებს ათ მეტრზე მეტი მოუგო.

სამსაათიანი ბრძოლების შემდეგ გაირკვა ყველა დისტანციაზე გამარჯვებულთა ვინაობა. სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის 2000 მეტრზე რბენაში — არმიელი მოსკოვის ოლქიდან ტ. გალსტიანი, 3000 მეტრზე ასპარეზობაში — უზბეკეთის გუნდის წევრი ს. ულმასოვა. ვაჟთა შორის 8000 მეტრზე რბენა მოიგო ტარტუელმა სტუდენტმა ე. სელიკმა, ხოლო 14000 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა უფელმა მ. აბდულინმა.

მასპინძლებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში შარშანდელთან შედარებით საფეხურით მაღლა აიწიეს — II ჯგუფის გუნდებს შორის პირველად მოიპოვეს III საპრიზო ადგილი. საქართველოს მეორე ნაკრებმა კი 68 საჯარიმო ქულით VIII ადგილი დაიკავა.

ტექნიკური შედეგები

 გოგონები. 1000 მ. ი. პოდიალოვსკაია (ბელორუსია, სოლიგორსკი) — 2.55,6, ი. კრაპივნიცკაია (უკრაინა, ლვოვი) — 2.56,1, ნ. კუზნეცოვა (რსფსრ I, სვერდლოვსკი) — 2.56,5. ქალიშვილები. 2000 მ. რ. იზმაილოვა — 6.09,2, ქ. ტურსუნოვა (ორივე — მოსკოვი I) — 6.11,2, ვ. ილინიხი (რსფსრ I, სვერდლოვსკი I) — 6.27,0. ქალები. 2000 მ. ტ. გალსტიანი (რსფსრ I, მოსკოვის ოლქი) — 6.10,2, ა. ტესლენკო (ტაჯიკეთი, დუშანბე) — 6.11,2, ვ. გერასიმოვა (რსფსრ III, მოსკოვის ოლქი) — 6.12,3; 3000 მ. ს. ულმასოვა (უზბეკეთი, ანდიჟანი) — 9.21,0, ლ. ბრაგინა (რსფსრ I, კრასნოდარი) — 9.24,6, გ. ვინოგრადოვა (რსფსრ II, სვერდლოვსკი) — 9.26,0. ვეტერანები. 1000 მ (აბსოლუტური). ა. შჩეტნიკოვა (უკრაინა, უჟგოროდი) — 3.06,8, ტ. რაპონავიჩენე (ლიტვა, შიაულიაი) — 3.10,2, ზ. გალიჩანინა (რსფსრ I, იჟევსკი) — 3.15,4. ჭაბუკები. 3000 მ. ვ. ტურჩინი (უკრაინა I, ლვოვი) — 8.22,4, ვ. ტარასენკო (უკრაინა II, კიევი II) — 8.22,8, ნ. გრიგორიევი (რსფსრ I, ტულა) — 8.24,8. იუნიორები. 3000 მ. ვ. რუსანოვი (რსფსრ I, ომსკი) — 8.12,0, ვ. მიხაილოვი (რსფსრ I, ტამბოვი) — 8.12,8, დ. დმიტრიევი (ლენინგრადი) — 8.13,0; 5000 მ. ა. ფედოტკინი (ბელორუსია, ბრესტი) — 14.14,2, ა. ანტიპოვასი (ლიტვა, ვილნიუსი) — 14.17,8, ა. დიმოვი (უზბეკეთი, ტაშკენტი) — 14.20,6. ვაჟები. 8000 მ. ე. სელიკი (ესტონეთი, ტარტუ) — 22.56,2, ა. ლუკოვიჩი (ბელორუსია, გროდნო) — 22.58,4, მ. ულიმოვი (რსფსრ I, ვოლგოგრადი) — 23.00,2; 14000 მ. მ. აბდულინი (რსფსრ I, უფა) — 41.59,8, ლ. მოსეევი (რსფსრ I, ჩელიაბინსკი) — 42.01,4, ვ. მერკუშინი (ბელორუსია) — 42.07,4. ვეტერანები. 3000 მ (აბსოლუტური). ბ. ეფიმოვი (უკრაინა I, ვოროშილოვგრადი) — 8.48,0, ვ. კრასნოვი (რსფსრ I, ულიანოვსკი) — 9.02,8, მ. შაკიროვი (რსფსრ I, ლისვა) — 9.04,2.

გუნდური. მოკავშირე რესპუბლიკები. I ჯგუფი. რსფსრ I — 19 საჯარიმო ქულა, რსფსრ II — 35, უკრაინა I — 46, ლენინგრადი — 48, მოსკოვი I — 53, უკრაინა II — 65. II ჯგუფი. მოლდავეთი — 14, ყირგიზეთი — 24, საქართველო I — 35, აზერბაიჯანი — 38, ტაჯიკეთი — 40, თურქმენეთი — 49.

ო. გელაშვილი.

ძვირფასი საჩუქარი

„პრავდის" საკავშირო კროსში „ლელომ" სპეციალური პრიზი დააწესა იმ ვეტერანი სპორტსმენისთვის, რომელიც 49-53 წლის კაცებს შორის 3000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობებდა. ეს პრიზი დაიმსახურა ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, 53 წლის ვ. უდუტმა.

ჩვენმა კორესპონდენტმა უდუტს სთხოვა ეამბნა თავისი სპორტული გზის შესახებ.

— ფიზაღზრდის მასწავლებელი, რა თქმა უნდა, ფიზკულტურის მეგობარი უნდა იყოს და ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ საკავშირო სარბიელზე ძალიან გვიან გამოვედი. ამაში „პრავდის" მძლეოსნური საკავშირო კროსები დამეხმარა.

რსფსრ-ს ვეტერანთა გუნდში პირველად 1970 წელს ჩამრიცხეს. ეს იყო მეცამე კროსი, რომელიც 9 მაისს მოსკოვის იპოდრომზე გაიმართა. მაშინ 48 წლისა ვიყავი და უფრო მარჯვედ შემეძლო სირბილი. რა თქმა უნდა, ესეც დამეხმარა, რომ ყველა ასაკის ვეტერანთა შორის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (9.36,7) მოვეპოვე. ეს წარმატება ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ისევე 9 მაისს და ისევე მოსკოვის იპოდრომზე გავიმეორე, ოღონდ ამჯერად პირადი შედეგი საგრძნობლად გავაუმჯობესე — 9.23,4.

შემდეგ ჩემი რესპუბლიკის ნაკრებში კიდევ ორჯერ მოვხვდი, მაგრამ კოჭამ წყალი მხოლოდ ერთხელ მოიტანა — 1973 წელს ჩემს კბილა „ბიჭებში" ვიმარჯვე.

თბილისი ჩემთვის იღბლიანი გამოდგა. მართალია, შედეგი (9.54,0) ახალგაზრდული აღარ იყო, მაგრამ ჩემს კოლექტივს საკმარისი ქულები მოვუტანე. თქვენი პრიზი ჩემთვის ძვირფასი საჩუქარია.

თუ ვეტერან კროსმენთა ყველა წლის მაჩვენებლებს შევაჯამებთ, ვნახავთ, რომ ჩვენი პრიზიორი თბილისის კროსის შემდეგ 18 ქულით I ადგილზეა. მართალია, ამდენივე ქულა აქვთ მ. შაკიროვსა (ლისვა) და ნ. მიტინს (მოსკოვი), მაგრამ ისინი უდუტზე შესაბამისად 8 და 6 წლით უმცროსნი არიან.

მაღალ დონეზე

ასე მგონია, თითქოს პირველი საკავშირო მძლეოსნური კროსი „პრავდის" პრიზზე სულ ახლახან გაიმართა. არადა, მაისის იმ დღის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი შეჯიბრების ისტორია დაიწყო, 13 წელი გავიდა.

პირველ კროსში, რომელიც „პრავდის" 50 წლისთავს მიეძღვნა და ჩატარდა დევიზით — „მშვიდობისა და მეგობრობისთვის", ყველა ეტაპის სტარტზე სამ მილიონზე მეტი ფიზკულტურელი გამოვიდა. მოსკოვში კი, ფინალურ ასპარეზობაში, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებთან ერთად, ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე, საფრანგეთის მუშათა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ეს შეჯიბრება ათჯერ მოსკოვის იპოდრომზე ჩატარდა. შემდეგ კროსის ფინალი, „პრავდის" რედაქციისა და ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქს ეწვია: ჯერ კიშინიოვში ჩავიდა, შარშანწინ ვილნიუსში იყო, შარშან — ფრუნზეში და აი, წლეულს საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა.

ყოველ კროსს მუდამ ახალი სიხარული მოჰქონდა, წლიდან წლამდე იზრდებოდა მისი პოპულარობა, რეკორდები, მასობრიობა. მაგალითად, თუ მეორე კროსის ფინალში 496 კაცი მონაწილეობდა, კიშინიოვში სტარტზე 1300-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა, თბილისის იპოდრომმა კი 1600-მდე მორბენალი მიიღო (აღარას ვამბობ 200-ზე მეტ მსაჯზე და ჟურნალისტზე).

ასეთ პოპულარობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ კოლექტივები სიძლიერის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად არიან დაყოფილი: რესპუბლიკების პირველი (მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებიც აქ გამოდიან) და მეორე ჯგუფები, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების ჯგუფი, ქალაქების რამდენიმე ჯგუფი, სპორტსაზოგადოებების ჯგუფები და სხვ. გარდამავალი პრიზები ცალკეულ დისტანციებზე გუნდურ ჩათვლაშიც კი თამაშდება. ასე რომ, ვინც სათანადოდ იშრომა, გულდაწყვეტილი არ დარჩება.

„პრავდის" სარედაქციო კოლეგიის მთავარი პრიზი — მოკავშირე რესპუბლიკებისთვის დაწესებული ჯილდო — პირველი კროსიდანვე თამაშდება. იგი მხოლოდ ერთხელ, 1963 წელს მოიგეს უკრაინის სპორტსმენებმა. სხვა დროს ეს ჯილდო რსფსრ-ს ნაკრებს ხვდა. II ჯგუფის მოკავშირე რესპუბლიკების პრიზი 1972 წლიდან დაწესდა. თბილისში იგი მეოთხედ გათამაშდა. კიშინიოვსა და ფრუნზეში ეს ჯილდო ყირგიზეთის წარმომადგენლებს ხვდათ, ვილნიუსში — მოლდავეთის სპორტსმენებს. თბილისში ისევ მოლდავეთის ნაკრებმა იმარჯვა.

სპორტსაზოგადოებების „ა" ჯგუფში ძვირფასი ჯილდო ათჯერ „ბურევესტნიკს" ერგო, თითოჯერ — შეიარაღებულ ძალებსა (1964 წ.) და „დინამოს" (1970 წ.).

თბილისში ჩამოსული ჟურნალისტები მეკითხებიან: კმაყოფილი ხართ თუ არა საქართველოს დედაქალაქში გამართული შეჯიბრებით? უსაზღვროდ, ვინაიდან მე ნათლად ვიგრძენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დიდი დახმარება ამ ასპარეზობის ორგანიზაციაში. აშკარად ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის დიდად ზრუნავს. ამ ზრუნვას ისიც ადასტურებს, რომ მძლეოსანთა შეჯიბრებას რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. კროსის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიქტორია სირაძე ხელმძღვანელობდა, ძალ-ღონე არ დაიშურა სსრ კავშირის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული 2000-მდე სტუმრის ღირსეულად დახვედრისთვის, შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ძალიან ბევრი იშუშავა „პრავდის" კროსის შტაბმა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის დავით პერტენავას ხელმძღვანელობით და მთავარ მსაჯთა კოლეგიამ, რომელიც თითქმის მთლიანად ადგილობრივი არბიტრებით იყო დაკომპლექტებული. ისინი სპორტის საპატიო მსაჯის ლევან გიორგაძის მეთაურობით ორ თვეზე მეტხანს მხოლოდ ამ შეჯიბრების დიდი თუ წვრილმანი საკითხების მოგვარებისთვის ზრუნავდნენ. ვალერი ვაშაკიძის, ალექსანდრე სტეპანოვის, ვლადიმერ ფოფხაძის, ვალენტინ ნედაშკოვსკის და სხვების დაუღალავი შრომით, თბილისელი ახალგაზრდების მხარდაჭერით სტარტისთვის ყველაფერი შესანიშნავად მოეწყო.

ნება მომეცით „ლელოს" საშუალებით ჩვენი სარედაქციო კოლეგიის სახელით მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა „პრავდის" XIV მძლეოსნური კროსის ფინალის ასე კარგად ჩატარებაში.

კროსისთვის მზადების მეთვალყურესთან, მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილესთან, „პრავდის" სპორტულ კომენტატორ ვ. ოტკალენკოსთან საუბარი ჩაიწერა ე. უზნაძემ.

ახალი ამბები

● **უჟგოროდი, 20 აპრილი.** აქ გაიმართა საკავშირო შეჯიბრებები სპორტულ სიარულსა და მარათონულ რბენაში, რაც ტრადიციულად აღნიშნავს ზაფხულის სეზონის დაწყებას. ამავე დროს წლეულს ეს ტურნირები სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაში შედის. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გაიმარჯვა ალმაათელმა ვ. სოლდატენკომ — 3:56.40, ხოლო 20-კილომეტრიან მანძილზე ყველას აჯობა ჩებოქსარელმა ვ. სემიონოვმა — 1:27.25. მარათონული რბენის სტარტზე საბჭოთა სპორტსმენების მხარდამხარ ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნებიც დადგნენ. ბრწყინვალე დროით ფინიშთან პირველი იყო ა. გორსტკი (ბელორუსია) — 2:14.23,4. II ადგილი დაიკავა ი. კრეშეკმა (ჩეხოსლოვაკია) — 2:14.56,2. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ბელორუსიისა და ყაზახეთის წარმომადგენლები.

[illegible] ტელეფონით

შეცდომა ცაიტნოტში

გუშინწინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით ესაუბრა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია), სადაც იგი მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

— დღეს IX ტური გავითამაშეთ, — თქვა ნონამ. — მე შევხვდი იუგოსლაველ მარლოვს. თავიდან ხარისხი მოვიგე, მაგრამ ცაიტნოტში უხეშად შევცდი და დიდი მატერიალური ზარალი განვიცადე. პარტია უარეს მდგომარეობაში გადავდე. ჩემმა მწვრთნელმა, დიდოსტატმა გიპსლისმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ ჩაილიჩთან.

რაიჩევიჩმა (იუგოსლავია) მოუგო პადევსკის (ბულგარეთი), ნიკოლიჩმა — მარტინოვიჩს (ორივე — იუგოსლავია), ტრინგოვმა (ბულგარეთი) — ჟულიჩს (იუგოსლავია). ყაიმზე შეთანხმდნენ იანსა (ჩეხოსლოვაკია) და ჩოკილტეა (რუმინეთი).

9 ტურის შემდეგ გიპსლისს 6 ქულა აქვს, ოსტოიჩს (იუგოსლავია) — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მარტინოვიჩს — 5,5, ტრინგოვს — 5.

ხუთი ტურის შემდეგ — 4 ქულა

სოჭში მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი, რომელმაც უნდა დაასახელოს ჭაბუკთა მსოფლიო და ევროპის პირველობების მონაწილენი საბჭოთა კავშირიდან. ორწრიან ტურნირში 7 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის — თბილისელი ოსტატი გ. ზაიჩიკიც.

სტარტზე ლიდერობა ხელთ იგდო ა. კოჩიევმა (ლენინგრადი) — 4 ქულა 5-დან. ზაიჩიკსა და მოსკოველ ვ. ჩეხოვს 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

მძაფრ ბრძოლაში

ზუგდიდი, 21 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ, 1-ლი მუსიკალური სკოლის შენობაში, მიმდინარეობს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ფინალი. ტურნირში თამაშობენ (წილისყრის მიხედვით): 1. ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი), 2. თ. ნემსაძე (ზუგდიდი), 3. ოსტატობის კანდიდატი ქ. მელაშვილი, 4. ოსტატობის კანდიდატი ნ. იოსელიანი, 5. ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი (სამივე — თბილისი), 6. რ. ლაგვილავა (ხობი), 7. ც. ქასოშვილი (გორი), 8. თ. მესხი (ქუთაისი), 9. ნ. იმნაძე (მახარაძე), 10. ოსტატობის კანდიდატი ნ. ხუბულური (თბილისი), 11. ზ. ლაღიძე (ტყიბული), 12. ოსტატობის კანდიდატი ნ. გურიელი, 13. ოსტატობის კანდიდატი ც. კახაბრიშვილი, 14. ოსტატობის კანდიდატი ე. ბაშინურიძე (სამივე — თბილისი).

გაგაცნობთ გავლილი პირველი ოთხი ტურის შედეგებს:

I ტური. ხუგაშვილი — ბაშინურიძე 1:0, ნემსაძე — კახაბრიშვილი 0:1, მელაშვილი — გურიელი 1:0, იოსელიანი — ლაღიძე 1:0, წერეთელი — ხუბულური 0:1, ლაგვილავა — იმნაძე 0,5:0,5, ქასოშვილი — მესხი 1:0.

II ტური. ბაშინურიძე — მესხი 0,5:0,5, ხუგაშვილი — ნემსაძე 1:0, კახაბრიშვილი — მელაშვილი 1:0, გურიელი — იოსელიანი 1:0, ლაღიძე — წერეთელი 0:1, ხუბულური — ლაგვილავა 1:0, იმნაძე — ქასოშვილი 0:1.

III ტური. მელაშვილი — ხუგაშვილი 0,5:0,5, იოსელიანი — კახაბრიშვილი 1:0, წერეთელი — გურიელი 0:1, ლაგვილავა — ლაღიძე 0:1, ქასოშვილი — ხუბულური 1:0, მესხი — იმნაძე 0,5:0,5, ნემსაძე — ბაშინურიძე 0:1.

IV ტური. მესხი — ხუბულური 0:1, ლაგვილავა — გურიელი 0:1, ნემსაძე — მელაშვილი 1:0. ოთხი პარტია გადაიდო.

ლიდერთა ჯგუფში არიან ც. ქასოშვილი — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია, ნ. გურიელი და ნ. ხუბულური — 3-3 ქულა.

ჩემპიონატი 3 მაისს დამთავრდება.

მ. ძნელაძე,
ჩემპიონატის მსაჯი-მდივანი.

3 მოგება ერთ დღეს

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXXIV ჩემპიონატის ფინალში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, შედგა IV ტური და დამთავრდა გადადებული პარტიები.

IV ტურში თ. ლომაიამ აჯობა დ. ექვთიმიშვილს, გ. ცქიტიშვილმა — ზ. მიქაძეს, ზ. სტურუამ — დ. გედევანიშვილს, ნ. ჩახოიანმა (ყველა — თბილისი) — გ. მენაბდეს (ქუთაისი), ა. ტუზოვსკიმ (სოხუმი) — გ. გოგიტიძეს (ბათუმი). ყაიმით დამთავრდა პარტიები: გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) — ი. ჩიქოვანი (თბილისი), ჟ. მზარულუა (ზუგდიდი) — ა. ბუსლაევი (თბილისი) და ა. ჯობავა (გალი) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი). ს. კიკილაშვილ — ა. ბოკუჩავას (ორივე — თბილისი) პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სამი გამარჯვება იზეიმა ჭაბუკმა სტურუამ, რომელმაც მოუგო ექვთიმიშვილს, მიქაძესა და ჩახოიანს. ტუზოვსკი დაუზავდა მენაბდეს და მოუგო ცქიტიშვილს. მენაბდემ ექვთიმიშვილთანაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა. ჩიბურდანიძემ ბუსლაევთან პარტიაში ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია. ბოკუჩავა დამარცხდა გედევანიშვილთან.

4 ტურის შემდეგ ზ. სტურუას 4 ქულა აქვს, თ. ლომაიას, ა. ტუზოვსკის — 3-3, ა. ბუსლაევს, ა. ჯობავას, ჟ. მზარულუას — 2,5-2,5.

ვემზადოთ,

ვემზადოთ,

ვემზადოთ!

მედლის მეორე მხარე

საქართველოს წყალში მხტომელები ერთხანს პირდაპირ ხელთათმანივით იცვლიდნენ უფროს მწვრთნელებს. მაგრამ აი, გუნდს ი. გუტიაკულოვი ჩაუდგა სათავეში და ნაკრებში უფროს მწვრთნელთა წასვლა-მოსვლაც შეწყდა. დღეს ჩვენს მოწინავე წყალში მხტომელებს სწორედ გუტიაკულოვი ავარჯიშებს.

მაინც, რა მდგომარეობაა ამჟამად? რესპუბლიკაში გვყავს მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადის ორი ჩემპიონი. ესენი არიან ს. ნიკოლოტოვა და ა. სოლდატოვი. პირველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს ასრულებს როგორც სამმეტრიანი ტრამპლინიდან, ისე კოშკიდან ხტომაში. ამასთან, იგი ანგარიშგასაწევი ძალაა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე უფროსებს შორისაც. ნორჩების საკავშირო შეჯიბრებაში ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა 10 წლის თბილისელმა ი. გუტიაკულოვამ. თბილისში ცხოვრობს საბჭოთა ქვეყნის ნორჩ წყალში მხტომელთა ლიდერი ს. შალიბაშვილიც. მას ჯერ 13 წელიც არ შესრულებია და უკვე სპორტის ოსტატად იხსენიებენ.

საქართველოს VI სპარტაკიადაში წყალში მხტომელებმა წარმატება მოიპოვეს, მაგრამ, როგორც უკვე ვწერდით, ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. მაინც რა გვიჩვენა შეჯიბრებამ? რა იმალება შელამაზებული ფასადის მიღმა?

დავიწყოთ წყალში ხტომის „გეოგრაფიით". როგორც ვიუწყებოდით, შეჯიბრებაში სულ ოთხი კოლექტივი მონაწილეობდა — თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდები. სად იყვნენ დანარჩენები? ან, იქნებ ჯობდა ეს კითხვა ასე შეგვებრუნებინა: განა შეიძლება წყალში მხტომელის მომზადება ცარიელ აუზში? თუმცა, ვაი, რომ ცარიელი აუზებითაც ვერ დავიტრაბახებთ.

კი მაგრამ, ქუთაისში ხომ მშვენიერი აუზების კომპლექსია. მაშ რა გაუჭირდათ ამ ქალაქის „წყალში მხტომელებს" ისეთი, რომ სპარტაკიადაში ერთადერთი ქულა ძლივს მიღეს და ბოლო ადგილზე დარჩნენ? ნუ გაგიკვირდებათ, ამ წინადადებაში ბრჭყალები რომ შეგხვდათ. ქუთაისელებმა წყალში მხტომელები რომ ვერ მოძებნეს, იფიქრეს, ამ სახეობაში მაინც ძალიან ბევრია აკრობატული ელემენტიო და აკრობატებს უკრეს თავი აუზში.

ნამდვილ წყალში მხტომელებს კი ქუთაისში ვერ ზრდიან, რადგან „განთიადის" აუზში წყალი ახალი მთვარესავით იშვიათი სანახავია. ამის შესახებ ჩვენ ბევრი დაგვიწერია, ქუთაისელ სპორტის მესვეურებს — კიდევ უფრო მეტი, მაგრამ საქმე მაინც არ მიდის წინ.

ახლა აჭარისა და აფხაზეთის წყალში მხტომელთა გასაჭირზეც ვთქვათ (ვინ იცის მერამდენედ!) ორიოდე სიტყვა. ისინი მხოლოდ ზაფხულობით ვარჯიშობენ... ზღვაში. მათ აუზებს კოშკ-ტრამპლინები არა აქვს. და, თუ დროდადრო რესპუბლიკურ შეჯიბრებებში საპატიო კვარცხლბეკის მეორე ან მესამე საფეხურებს აღწევენ, ისიც იმის წყალობით, რომ იქაური წყალში მხტომელები ან თბილისში სწავლობენ, ან ხშირად ჩამოდიან დედაქალაქში შეკრებაზე. აი, ახლაც სპარტაკიადაში ა. დირიაბინმა და ა. მესუმიანმა ამავე „მიზეზით" მოახერხეს III ადგილების მოპოვება ვაჟთა შორის შესაბამისად სამმეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში. ქალებში კი ნ. კალაშნიკოვა მესამე იყო კოშკიდან ხტომაში.

და ბოლოს, თბილისელთა შესახებ. დედაქალაქში ერთადერთი ბაზა, სადაც ვარჯიშისთვის ასე თუ ისე შესაფერი პირობებია, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზია. ახლა სწორედ ამ აუზის ნაკლოვან მხარეებზე გვინდა ვთქვათ.

ამ აუზში მომეცადინე წყალში მხტომელები ჩივიან, პარალონის ორმო არა გვაქვსო. გარდა ამისა, აქ დღემდე ვერ მოახერხეს სპეციალურ სადგარზე დადგან ოთხი უცხოური ტრამპლინის ფიცრები, რომელთაგანაც თითოეულში 1200 მანეთი გადაიხადეს. სპორტსმენები მაინცდამაინც არც წყლის ტემპერატურით არიან კმაყოფილი.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ბაზების მხრივ ერთობ მძიმე მდგომარეობაა. საქართველოში არის კიდევ ერთი აუზი, რომელიც წლეულს აშენდა რუსთავში, მაგრამ ამ აუზთან დაკავშირებით დგება კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხი — მწვრთნელების პრობლემა. დღემდე კაცი ვერ მოიძებნა, რომ რუსთავში სამუშაოდ გაეგზავნათ.

რა მოხდა? რატომ გახდა სანთლით საძებარი წყალში მხტომელების მწვრთნელი, თუნდაც საშუალო კლასისა? მთავარი მიზეზი ისაა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელებს მუშაობისთვის სათანადო პირობები არა აქვთ შექმნილი. იქნებ ამიტომაც უჭირავთ თვალი ჩვენს მწვრთნელებს სხვა რესპუბლიკებზე. სხვათა შორის, ძალიან ბევრმა „ლტოლვილმა" სხვაგან თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა მწვრთნელმა. მაგალითები? ინებეთ: ვ. სელეზნიოვი ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრი იყო, მაგრამ შემდეგ ალმა-ათაში გადავიდა და მოამზადა ისეთი შესანიშნავი სპორტსმენი, როგორიცაა სსრ კავშირის უძლიერესი წყალში მხტომელი ა. გენდრიკსონი. ვ. ვალაჩოკიც ჩვენი მწვრთნელი იყო, ახლა კი ვოლგოგრადში მუშაობს, სადაც ბევრი კარგი სპორტსმენი აღზარდა, მაგალითად, სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო წყალში მხტომელი ვ. კაპირულინი. სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. ოვანესიანმა თბილისიდან ერევანს მიაშურა და ახლა საბჭოთა ნაკრების წევრობის კანდიდატთა შორის მის აღსაზრდელ რ. ბალდადიანსაც ასახელებენ.

ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ აქ დარჩენილთა დიდი უმეტესობაც მაღალი კვალიფიკაციით ვერ დაიკვეხნის. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში დღემდე არ არსებობს წყალში ხტომის ფაკულტეტი. ისიც უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი მწვრთნელი პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს. ხშირად დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელები, რაკი ნიჭიერ წყალში მხტომელებს აღმოაჩენენ და გარკვეულ დონემდე დაასოსტატებენ, როცა დრო მოვა, ველარ ელევიან თავიანთს მოწაფეებს, რომ უკეთ მომზადებულ სპეციალისტებს გადასცენ სამეცადინოდ. მაგალითად, თბილისელი წყალში მხტომელი ლ. ფირალიშვილი ბ. პლევაკოსთან ვარჯიშობდა. ლარისას ოსტატობამ გარკვეულ დონეს მიაღწია და გაიყინა. მასწავლებელი მას მეტს ველარაფერს აძლევდა, მაგრამ მაინც არ სურდა მისი „დათმობა". მოხდა ისე, რომ მწვრთნელი და მოწაფე ერთმანეთს ხასიათით ველარ შეეწყვნენ. ფირალიშვილმა გუტიაკულოვთან დაიწყო ვარჯიში და წარმატებებმაც იმატა.

სხვათა შორის, ს. ნიკოლოტოვაც პლევაკოს მოწაფეა.

— მაგრამ საკავშირო სარბიელზე ნიკოლოტოვას წარმატებებში მეტი დამსახურება ისევ გუტიაკულოვს მიუძღვის. სწორედ ამ უკანასკნელმა დაამუშავებინა მას საბოლოოდ რთული ნახტომები. ამიტომ პლევაკომ თავისი მოწაფე გუტიაკულოვს უნდა გადასცეს. საბოლოოდ კი ნიკოლოტოვას აღმზრდელებად ორივე სპეციალისტს მოიხსენიებენ, — ეს სიტყვები ჩვენი არაა, წყალში ხტომის სპეციალისტებს ეკუთვნით.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში ჩვენი წყალში მხტომელების სავარაუდო შედეგებზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდს საიმედო არაფერი აქვს. პირად პირველობაში კი წარმატების ყველაზე დიდი იმედი ნიკოლოტოვას უნდა ჰქონდეს. ამას გვაფიქრებინებს მისი წლევანდელი მაჩვენებლები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ვფიქრობთ, სვეტლანას შეუძლია III ადგილი მოიპოვოს. ჩვენი ქალებიდან რვა საუკეთესოში მოხვედრა შეუძლია ფირალიშვილსაც. ვაჟებიდან ამასვე მოველით სოლდატოვისგან. ეს არის და ეს.

ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ნორჩი მხტომელები, რომლებსაც, თუ ხელშეწყობა იქნა, შეუძლიათ თავი გამოიჩინონ ხალხთა VII სპარტაკიადაში. მათი მომავალი წარმატებებისთვის ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ.

ა. გურასაშვილი.

ფეხბურთის დიდოსტატი

ჩვენს ხელთაა წიგნი ლაკონიური სათაურით — „ბორის პაიჭაძე", რომლის ავტორია ჟურნალისტი ო. გაგუა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი, 1975).

ბორის პაიჭაძე... ეს ორი სიტყვა ჭეშმარიტად მაგიური ძალის შემცველია. ფეხბურთის გულშემატკივართა რამდენიმე თაობისთვის — ისინი განასახიერებენ ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ამ ჭეშმარიტად სახალხო თამაშთან არის დაკავშირებული.

ალბათ არ მოიძებნება ეპითეტი, რომელსაც არ იმსახურებდეს ბორის პაიჭაძე — ქართული ფეხბურთის კეთილშობილი რაინდი. ყველასთვის, ვისაც კი ოდესმე უნახავს ბორისი მინდორზე, იგი დარჩა მუდმივ კეთილ თანამგზავრად, მისი თამაში კი — ერთ-ერთ წარუშლელ ემოციურ შთაბეჭდილებად.

25 წელია აღარ გამოდის ბ. პაიჭაძე მინდორზე და, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით, თუ რა განუმეორებელი, მართლაც უნიკალური ფეხბურთელი იყო იგი. ბევრი რამ მოხდა ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე, იცვლებოდა ფეხბურთი, ტაქტიკური სქემები, ტელევიზიამ გვაზიარა ჩვენი დროის უდიდეს საფეხბურთო სპექტაკლებს, გაგვაცნო ფეხბურთის ელიტის უბრწყინვალესი წარმომადგენლები დაწყებული პელეთი და დამთავრებული კრუიფით. და დღეს, როცა საშუალება გვაქვს დამშვიდებით გავაანალიზოთ ჩვენი დაკვირვებები და შთაბეჭდილებანი, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ბ. პაიჭაძე არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ტყავის ბურთის აღიარებულ დიდოსტატებს და ბევრ მათგანზე მაღლაც იდგა თავისი ხალასი სპორტული ინდივიდუალობით. ყველა აღაფრთოვანა პელეს მიერ მოსკოვში 1965 წელს გატანილმა ფანტასტიკურმა გოლმა, მაგრამ გავიხსენოთ, რამდენი ასეთი გოლი გაუტანია ბორის პაიჭაძეს თავისი სპორტული კარიერის მანძილზე!

საბჭოთა ფეხბურთის ყველა სპეციალისტი თუ ისტორიკოსი მას მუდამ დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით იხსენიებს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ბ. პაიჭაძის ჭეშმარიტი მნიშვნელობა დღემდე არ არის დაფასებული. ამიტომ ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა ერთ-ერთ საპატიო ამოცანად მიმაჩნია ამ ჭეშმარიტების სისტემატური ხაზგასმა, დასაბუთება და პროპაგანდა.

აი, რატომ იწვევს ასეთ კმაყოფილების გრძნობას ახალი წიგნი, რომელიც საფუძვლიან მონოგრაფიას წარმოადგენს ჩვენი ფეხბურთის გამოჩენილ ოსტატზე (წიგნის მოცულობა ილუსტრაციებით 11 თაბახს აღემატება). ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ მიიღო დიდი სიყვარულით, მაღალი ჟურნალისტური კულტურით დაწერილი, შინაარსიანი, საკითხავად სასიამოვნო წიგნი, რომელიც ნამდვილად ღირსია თავისი სახელოვანი გმირისა და ჩინებული საჩუქარია მისი 60 წლისთავისთვის.

დიდი და შრომატევადი მუშაობა გაუწევია ავტორს ოთარ გაგუას, გამოუკითხავს ცნობილი სპეციალისტები, გულდასმით შეუსწავლია იმდროინდელი პრესა, თვით ბ. პაიჭაძის არქივი. წიგნის უპირველეს ღირსებად მიმაჩნია ის, რომ იგი შეუნელებელი ინტერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს არა მარტო მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალა, არამედ თხრობის ძალდაუტანებელი, ცოცხალი მანერა, მსუბუქი იუმორით შეფერილი ფურცლები, კარგი ქართული.

ოთარ გაგუა
ბორის პაიჭაძე

ბ. პაიჭაძის ბიოგრაფია იშლება ვრცელ საზოგადოებრივ ფონზე. ფაქტიურად, ავტორმა გააცოცხლა ქართული ფეხბურთის ისტორიის უმთავრესი მომენტები 50-ან წლებამდე, „დინამოს" გუნდის ფორმირებისა და წრთობის პროცესი. ღირსეული ადგილი აქვთ მიკუთვნებული ბ. პაიჭაძის წინამორბედებსაც და გამოჩენილ პარტნიორებსაც.

წიგნს შემეცნებით ღირებულებას მატებს მისი მრავალპლანიანობა. ამბები, მოვლენები მასში სხვადასხვა კუთხითაა დანახული თვით ავტორის, ბ. პაიჭაძის, მისი პარტნიორებისა და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, სპორტული მოწინააღმდეგეების თვალით. ერთი სიტყვით, ეს არის წიგნი, რომელსაც მადლიერების გრძნობით მიიღებენ ფეხბურთის მოყვარულნი. დარწმუნებული ვარ, სულ მალე საჭირო გახდება მისი ხელმეორედ გამოცემა და ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ მივუთითებთ ავტორს ზოგიერთ პატარა შეცდომაზე.

წიგნის თარო

აი, ეს შენიშვნებიც: ბასკებმა მოსკოვის „ლოკომოტივს" მოუგეს 5:1 და არა 5:0 (გვ. 70); ი. ჩერედნიჩენკო იყო დავდამსხმელი და არა მცველი (გვ. 119); 1939 წლის სეზონის მონაწილეთა შორის გამოტოვებული არიან მოსკოვის „სპარტაკი" და ლენინგრადის „სტალინეცი" (გვ. 103); ამბავი, რომელიც აღწერილია 113-ე გვერდზე, მოხდა 1945 წლის პირველობის მატჩში მოსკოვის „კრილია სოვეტოვთან" და დამთავრდა პაიჭაძის ბრწყინვალე გოლით (და არა ისე, როგორც ავტორი წერს, ბურთი ზემო ძელს მოხვდაო); არაზუსტად არის აღწერილი 1950 წლის მატჩის მსვლელობა რიგის „დაუგავასთან" (გვ. 206). შეუძლებელია 1941 წლით დათარიღებულ ფოტოზე აღბეჭდილი იყოს მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" მატჩის ეპიზოდი, ვინაიდან მაშინ ამ გუნდებმა ვერ მოასწრეს ერთმანეთთან შეხვედრა; ბერეჟნოი და არა ბერძენიშვილი (გვ. 151); რ. კოპა 1957 წელს თამაშობდა „რეიმსში" და არა „რეალში" (გვ. 84). წინააღმდეგობაში ვარდება ავტორი, როდესაც ერთსა და იმავე გვერდზე (81) „დუბლ-ვეს" სისტემის ათვისების პრიორიტეტს ხან მოსკოვის „სპარტაკს" აკუთვნებს, ხან კი „ტორპედოს", თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" გუნდებს.

ურიგო არ იქნება, თუ წიგნს დაემატება ბ. პაიჭაძის რამდენიმე კლასიკური, ქრესტომათიული გოლის აღწერა, ასეთებად კი შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, შემდეგი ბურთები: 1940 წელს მოსკოვის „ტორპედოსთან" გ. ჯეჯელავასთან „თანავტორობით" გათამაშებული ელვისებური სამსვლიანი კომბინაცია-„კედელი" ბურთის მიწაზე დაუშვებლად, რომელიც პაიჭაძის ბრწყინვალე დარტყმით დაგვირგვინდა; 1946 წელს მოსკოვის „ტორპედოსთან" გატანილი პირველი ბურთი უშუალოდ კუთხურიდან, ხოლო მეორე — ცენტრალური მცველის მოშკარკინისთვის თვალშეუვლები ფინტის გაკეთების შემდეგ (კარში განთქმული ა. აკიმოვი იდგა), იმავე წელს მოსკოვის „სპარტაკთან" მარცხნიდან შემოსვლით და ძნელი კუთხიდან მოჭრილი დარტყმებით (კარში ა. ლეონტიევი იდგა), რასაც შემდეგ „ხმელი ფოთოლი" უწოდეს; გოლი ცდკა-სთან 1945 წელს, როცა საჯარიმო მოედანზე წარმოუდგენელი სივიწროვის პირობებში, ფაქტიურად 1-2 კვ მეტრის ფართობზე ზედიზედ მოატყუა ოთხი მოწინააღმდეგე და შორეულ კუთხეში დაარტყა ბურთი.

გ. ტორაძე,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ადგილები განაწილდა

ლენინგრადში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. მოსკოვის არმიელებმა შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვეს I ადგილი.

გაგაცნობთ ბოლო ორი დღის ტექნიკურ შედეგებს: „რადიოტექნიკი" (რიგა) — „დოროჟნიკი" (ალმა-ათა) 1:3, „რადიოტექნიკი" — ცსკა 1:3, „დინამო" (მოსკოვი) — ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ოდესა) 3:1, „დინამო" — „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) 2:3, „დოროჟნიკი" — „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) 3:2, „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) 2:3, „ზვეზდა" — „მოტორი" (მინსკი) 3:1, ტექნ. ინსტ. — „ლოკომოტივი" (კიევი) 2:3, უმაღლ. ტექნ. სასწ. — ასკ (დონის როსტოვი) 2:3, „ლოკომოტივი" — ასკ 3:0, „ავტომ". (დნეპროპ.) — ცსკა 0:3, „მოტორი" — „ავტომ". (ლენინგრ.) 0:3.

უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობება მინსკის „მოტორი", ხოლო დნეპროპეტროვსკის „ავტომობილისტს" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა პირველ ლიგაში II ადგილზე გასულ გუნდთან.

მაისის შუა რიცხვებში სსრ კავშირის ნაკრები გაემგზავრება ტრადიციულ ტურნეში იაპონიაში. შემდეგ სპორტსმენები მოემზადებიან თავიანთს გუნდებში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის. მერე ნაკრები გაემგზავრება კანადაში წინაოლიმპიურ კვირეულში სასპარეზოდ, ბოლოს კი ევროპის ჩემპიონატში გამოვა იუგოსლავიაში.

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22	21	1	64—15	21
„რადიოტექნ."	22	16	6	54—30	16
„ავტომ". (ლ.)	22	15	7	54—36	15
უმაღლ. ტექ. სასწ.	22	13	9	52—41	13
„დოროჟნიკი"	22	13	9	48—43	13
„ლოკომოტივი"	22	12	10	48—35	12
ასკ	22	12	10	46—43	12
ტექნ. ინსტ.	22	11	11	44—46	11
„ზვეზდა"	22	8	14	38—52	8
„დინამო"	22	4	18	24—57	4
„ავტომ". (დნ.)	22	4	18	24—60	4
„მოტორი"	22	3	19	22—60	3

24-დან 24!

სვერდლოვსკში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტურის მატჩები. გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს:

„ოსვიტა" (ჩერკასი) — „ლუჩი" (მოსკოვი) 13:26, „უპი" (სვერდლოვსკი) — „პეტროგრადეცი" (ლენინგრადი) 17:12, „სპარტაკი" (კიევი) — „უპი" 14:9, „ლუჩი" — „პეტროგრადეცი" 24:14.

შეჯიბრებას დამაჯერებლად ლიდერობს კიევის „სპარტაკი" — 24 ქულა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ფეხბურთის ქრონიკა

19 და 20 აპრილს შედგა მორიგი ტურის მატჩები.

„დინამო" (კიევი) — „ზარია" 3:0. კიეველებმა მთელი მატჩი დიდი უპირატესობით ჩაატარეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს ტრონჩუკმა (2) და ონიშჩენკომ.

„ლოკომოტივი" — სკა 1:0. გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, მოსკოველმა ოვჩინიკოვმა გაიტანა.

ცსკა — „არარატი" 0:1. ერევნელებმა, ტრადიციისამებრ, წარმატებით დაიწყეს გამოსვლა მოსკოვში და 2 ქულაც აიღეს. გოლი გაიტანა ანდრიასიანმა.

„ქაირატი" — „პახტაკორი" 2:0. გოლები, რომლებიც ეკუთვნით ოლეინიკოვსა და ბულგაკოვს, პირველ და მეორე ტაიმების ბოლო წუთებში გავიდა.

„შახტიორი" — „დნეპრი" 2:2.

„ზენიტი" — „ჩერნომორეცი" 3:1.

საბჭოთა ნაკრების ტრიუმფი

დიუსელდორფი, 19 აპრილი. ჰოკეისტთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა. წლევანდელი შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების ნამდვილი ტრიუმფით აღინიშნა — მათ ერთი ქულაც არ დაუკარგავთ და ბევრად სჯობდნენ ყველა მეტოქეს. ახლა სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიოს თოთხმეტგზის და ევროპის ჩვიდმეტგზის ჩემპიონია. გუნდის უფროსი მწვრთნელის ბ. კულაგინის აზრით, ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა ის იყო, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა სპორტული ფორმის პიკს მარტში მიაღწია, როცა „იზვესტიის“ პრიზის გათამაშებაში სამი მატჩი მოუგო მსოფლიო ჩემპიონებს, ეს უკანასკნელნი კი საუკეთესო ფორმაში სწორედ ჩემპიონატის დღეებში იყვნენ. ამასთან, კულაგინმა დაამატა, რომ მისი აზრით, ჩეხოსლოვაკიელებმა ყველაზე ძლიერი ნაკრები სწორედ წლეულს გამოიყვანეს.

ახლა გიამბობთ ბოლო დღეს გამართულ ორ მატჩზე, შემდეგ კი ტურნირში დაწესებულ მრავალრიცხოვან პრიზებზე ვილაპარაკოთ.

„აისშტადიონის“ ყინულის სარბიელზე პირველად ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები გამოვიდნენ. ფრეს შემთხვევაში ფინელები ბრინჯაოს მედლებს მიიღებდნენ და ამიტომ, ბუნებრივია, საბრძოლო განწყობილება არ აკლდათ. პირველ პერიოდში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიელმა ი. ნოვაკმა მე-10 წუთზე მაინც შეძლო ანგარიშის გახსნა.

მეორე პერიოდში ვერცხლის პრიზიორების უპირატესობა უკვე აშკარა იყო და დვორჟაკმა, ე. ნოვაკმა, ბ. შტიასტნიმ და ისევ ე. ნოვაკმა ხუთამდე გაზარდეს ანგარიში.

მესამე პერიოდში სურათი შეიცვალა და ახლა ფინელი ჰოკეისტებაც ბევრს უტევდნენ. როგორც იქნა, მე-6 წუთზე მურტომ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და პრესტიჟის გოლი გაიტანა. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა — 5:1 (1:0, 4:0, 0:1).

ამ შეხვედრის შემდეგ ფინეთის გუნდი გამოეთხოვა ბრინჯაოს მედლებზე ფიქრს, რადგან ეს რომ მომხდარიყო, შვეციის ნაკრებს საბჭოთა გუნდთან 25 შაიბის სხვაობით უნდა წაეგო, რაც, ალბათ, გესმით, მხოლოდ ფანტასტიკაა.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო მატჩი უკვე ოქროს და ბრინჯაოს მედალოსნების შეხვედრა გახლდათ. მთელი მატჩის მანძილზე აშკარა იყო მსოფლიო ჩემპიონების უპირატესობა. ანგარიში შალიმოვმა გახსნა. მე-11 წუთზე კაპუსტინმა და მალცევმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ანგარიში გაზარდა. მე-15 წუთზე ხარლამოვის სოლო რეიდი გოლით დააგვირგვინა... შვედების მეკარე ჰოლმკვისტმა, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა შაიბა. წუთის შემდეგ მიხაილოვმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა.

მეორე პერიოდში შვედების კარში უკვე ახალი მეკარე იდგა — მათმა მწვრთნელმა პეტერსონმა ჰოლმკვისტი ჰეგიუსტათი შეცვალა. მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა: ახალგაზრდა კარის მცველმა თავის გამოცდილ კოლეგაზე მეტი შაიბა გაუშვა. პერიოდის დასაწყისში ვიკულოვისა და ფიოდოროვის ორ გოლს შვედებმა ამდენივეთი უპასუხეს (ლაბრაატენი, სიოდერსტრიომი). მე-17 და მე-20 წუთებზე შალიმოვმა და ანისინმა კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიში. მესამე პერიოდის მე-4 წუთზე პეტროვმა მეცხრე შაიბა გაიტანა მეტოქის კარში, მეთორმეტეზე კი ესტლინგმა ერთი გოლი გაქვითა. წუთის შემდეგ კაპუსტინმაც გაიტანა გოლი, მე-16 წუთზე კი ერთბაშად სამი შაიბა გავიდა: მალცევის გოლის შემდეგ 10 წამი გავიდა და პეტერსონმა შეამცირა სხვაობა, მაგრამ კიდევ 35 წამის შემდეგ ვასილიევმა ძველი სხვაობა აღადგინა. მატჩის დამთავრებას 13 წამი აკლდა, როცა მალცევმა მე-13 გოლი გაიტანა შვედების კარში — 13:4 (4:0, 4:2, 5:2). ეს საბჭოთა ნაკრების 90-ე შაიბა იყო წლევანდელ ტურნირში.

ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შეჯიბრების ჭეშმარიტი აღმოჩენა იყო საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი ვიქტორ შალიმოვი, რომელმაც საუკეთესო ბომბარდირის პრიზიც მოიპოვა — 19 ქულა დააგროვა (11 გოლი და 8 შედეგიანი გადაცემა).

როგორც მუდამ, ჩემპიონატის დირექტორატმა დაასახელა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. გაიცანით ლაურეატები: მეკარე — ჰოლეჩეკი (ჩეხოსლოვაკია); მცველი — მარიამიაკი (ფინეთი); თავდამსხმელი — იაკუშევი (სსრ კავშირი). ჟურნალისტების ტრადიციული სიმბოლური ნაკრები ასეთია: მეკარე — ტრეტიაკი; მცველები — ვასილიევი (ორივე — სსრ კავშირი) და მარიამიაკი; თავდამსხმელები — მარტინეცი (ჩეხოსლოვაკია), პეტროვი და იაკუშევი (ორივე — სსრ კავშირი). მსოფლიო პირველობის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ალექსანდრე იაკუშევი.

ყოველივე ამასთან ერთად საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიპოვეს „სამართლიანი თამაშის“ პრიზი, რომელიც ყველაზე კორექტულ გუნდს ეძლევა.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი გაისად პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში გაიმართება. იქ წლეულს ბოლო ადგილზე გასული აშშ-ს ნაკრების ადგილს გდრ-ის ეროვნული გუნდი დაიკავებს, რომელმაც „ბ“ ჯგუფის შეჯიბრება მოიგო.

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	10	10	0	0	90:23	20
ჩეხოსლოვაკია	10	8	0	2	55:19	16
შვეცია	10	5	0	5	51:34	10
ფინეთი	10	5	0	5	36:34	10
პოლონეთი	10	2	0	8	18:78	4
აშშ	10	0	0	10	22:84	0

ასპარეზობენ ბადმინტონისტები

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ დარბაზში „გლადსაკსე სპორტსჰალში“ 19 აპრილს გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი იუნიორ ბადმინტონისტთა შორის. ეს ამ რანგის რიგით მეოთხე ტურნირია.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 14 ქვეყნის 105 სპორტსმენი. მონაწილენი სამ ჯგუფად არიან დაყოფილი. გუნდური პირველობისთვის იბრძვიან 11 სახელმწიფოს ნაკრები გუნდები. პირველ, უძლიერეს ჯგუფში არიან დანიის, ინგლისის, შვეციისა და გფრ-ის, მეორეში — ჰოლანდიის, ირლანდიისა და შოტლანდიის, მესამეში — სსრ კავშირის, ავსტრიის, ნორვეგიისა და უელსის გუნდები.

საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც პირველად მონაწილეობენ ამ შეჯიბრებაში, პირველ შეხვედრაში დაამარცხეს უელსის გუნდი ანგარიშით 5:0.

ვეტერანი მაგალითს იძლევა

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა სპორტსმენის ყურადღება მიპყრობილია სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისადმი. ვარჯიშებიც, დასვენებაც და ამა თუ იმ ასპარეზობაში მონაწილეობაც, როგორც წესი, სპარტაკიადისთვის მზადების კუთხით იზომება. სეზონის მთავარი სტარტებისთვის ერთნაირი გულმოდგინებით ემზადებიან ისინი, ვინც პირველად მოსინჯავს ძალას საბჭოთა სპორტის ამ საპასუხისმგებლო ფორუმში, და ისინიც, ვისთვისაც სპარტაკიადა ახალი ხილი არ არის.

ახლა, როცა ყალიბდება ნაკრები გუნდების კონტურები, როცა მწვრთნელები მთავარი პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დგანან, დიდი მნიშვნელობა აქვს მათს ალღოსა და ინტუიციას, იმას, თუ როგორ შეუხამებენ ერთმანეთს ახალგაზრდების ჟინსა და მონდომებას ერთი მხრივ და ვეტერანთა ცოდნასა და გამოცდილებას მეორე მხრივ. სპარტაკიადის მონაწილე ყველა გუნდმა, ბუნებრივია, უნდა გააერთიანოს თავის თავში ყველაფერი კარგი, რაც სპორტის მოცემულ სახეობას გააჩნია.

დაახლოებით ასეთ მიზანს ისახავდა საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მონაწილეობა ცნობილი რუსი მოჭიდავის ი. ზაიკინის მემორიალში, რომელიც ამას წინათ ბენდერიში (მოლდავეთი) ჩატარდა. ჩვენი რესპუბლიკიდან სარბიელზე 9 მოჭიდავე გამოდიოდა. ტურნირმა ფართო გასაქანი მისცა ახალგაზრდების ნიჭსა და შესაძლებლობას. ბევრმა მათგანმა თავი გაართვა მწვრთნელისა და გუნდის მიერ დასმულ ამოცანას, შეამოწმა თავისი ძალა, მოსინჯა მეტოქეები და გაიმდიდრა ცოდნა, რაც მას უსათუოდ დაეხმარება მომავალ სასპარტაკიადო ტურნირში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით, ვის როგორი როლი ექნება დაკისრებული სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის დღეებში. ეს მთლიანად მწვრთნელთა და სპეციალისტთა შეხედულებებზეა დამოკიდებული. მაგრამ ბენდერის ტურნირმა სწორი მომზადების რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მოგვცა.

შოთა მორჩილაძეს, სსრ კავშირისა და ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მძიმეწონოსანს, ჰყავს ძმა — მალხაზი. იგი ახალგაზრდაა და, როგორც ყველა მისი ტოლი, ჯერ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული ერთი კონკრეტული წონისთვის. ამიტომ იგი ხან ქვემძიმე წონაში გამოდის, ხან მძიმეში. ამ ტურნირისთვის მალხაზი 102 კილოგრამს იწონიდა, რამაც მას, ჯერჯერობით ქვემძიმე წონის ათლეტს, იურიდიული უფლება მისცა, რომ უფრო მაღალ წონაში ეჭიდავა. ახალგაზრდა ათლეტი თამამად ჩაება უძლიერესებთან ჭიდილში და II საპრიზო ადგილი დაიკავა.

ოთარ ტატიშვილი (68 კგ) უფრო გამოცდილი მებრძოლია. ამიტომ მანაც ზედა წონაში სცადა ძალა და, მალხაზისა არ იყოს, II ადგილი მოიპოვა.

მაგრამ ტურნირის საუკეთესო მოჭიდავეებზე თუ გვინდა ლაპარაკი, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი ჭიდაობის ვეტერანი, გამოცდილი, ჭკვიანი და უბერებელი ომარ ბლიაძე, რომელმაც ერთხელ კიდევ მოხიბლა სპეციალისტები მაღალი ოსტატობით. ომარი ტურნირის ერთ-ერთი ლაურეატია, მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ვეტერანმა I ადგილი დაიკავა 90 კგ წონით კატეგორიაში და ბევრ აღიარებულ ფავორიტს პირში ჩალა გამოავლო. ანგარიშგასაწევია ამ გამარჯვების ხარისხიც. ომარმა ბენდერის სარბიელზე რვაჯერ შედგა ფეხი და რვაჯერვე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. აი, რას ნიშნავს საქმის სიყვარული და მოვალეობის გრძნობა. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ბლიაძემ თავისი სპორტული ფორმის ზენიტს მიაღწია მაშინ, როცა რესპუბლიკის გუნდს ასეთი გამოცდილი და სერიოზული მებრძოლები სჭირდება.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ახალგაზრდა რეიდი აბრამიშვილიც, რომელიც 62 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. იგი, რა თქმა უნდა, პირველობის ღირსი იყო, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც II ადგილია ურიგო. მთავარი კი ისაა, რომ რეიდი სპარტაკიადისთვის მზადების მოცემულ ეტაპზე კარგ სპორტულ ფორმაშია.

ც. ფცქიალაძე.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი

შაბათს ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურმა კვლავ ვერ გამოავლინა ჩემპიონი: ლიდერმა „დერბი ქაუნთიმ“ სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა „ლეისტერ სიტისთან“. მომავალ შაბათს, როცა საკუთარ მინდორზე შეხვდება ბოლო, XXII ადგილზე მყოფ „კარლაილ იუნაიტედს“, ოქროს მედლების მოსაპოვებლად მას ფრეც ჰყოფნის.

ლივერპულის ორივე გუნდი — „ევერტონი“ და „ლივერპული“ დამარცხდნენ და ჩემპიონობის იმედს გამოეთხოვნენ. „ლივერპულმა“ სტუმრად წააგო „მიდლსბროსთან“ — 0:1 (გოლი ფოგონმა გაიტანა), ხოლო „ევერტონმა“ საკუთარ მინდორზე — „შეფილდ იუნაიტედთან“ — 2:3 (გადამწყვეტი გოლი მასპინძელთა კარში ჰერიმ გაიტანა).

შარშანდელმა ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედმა“ შინ აჯობა „იფსვიჩ თაუნს“ — 2:1. გადამწყვეტი გოლი იფსვიჩელთა კარში გაიტანა დებიუტანტმა ჰარისმა. საყურადღებოა, რომ „იფსვიჩ თაუნს“ შეუძლია ჩემპიონის ტიტული მოიხვეჭოს, თუ ორ უკანასკნელ თამაშს მოიგებს (რა თქმა უნდა, თუ „დერბი ქაუნთი“ წააგებს).

უაღრესად დაძაბული იყო შეხვედრა ლონდონის „უაით ჰართ ლეინზე“, სადაც „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და „ჩელსის“ შერკინებას 51 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ტოტენჰემის“ მოთამაშეებმა პერიმენმა და კონმა ორი „მშრალი“ გოლი გაიტანეს „ჩელსის“ კარში და თავიანთი გუნდი I ლიგაში დატოვეს. „ჩელსის“ გაისად II ლიგაში გადასვლა ემუქრება.

„ლუტონ თაუნმა“, რომელსაც ასეთივე საშიშროება ელის, შეძლო სტუმრად „ბირმინგემ სიტის“ დამარცხება — 4:1. ორი გოლი ბირმინგემელთა კარში გაიტანა „ლუტონისა“ და ავსტრალიის ნაკრების ცენტრფორვარდმა ოლსტონმა.

	თ.	ბ.	ქ.
„დერბი ქაუნთი“	41	67:43	52
„ლივერპული“	41	57:38	49
„ევერტონი“	41	55:41	49
„იფსვიჩ თაუნი“	40	61:42	48

შოტლანდია

შაბათს ახალმა ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად სძლია „ერბროთს“ — 2:1. გლაზგოს „სელტიკი“ შინ დამარცხდა „დანდისთან“ — 1:2. ედინბურგის „ჰიბერნიენმა“ სტუმრად აჯობა „დამბარტონს“ — 3:2.

გაისად უმაღლესი ლიგის 10 გუნდის რიცხვში მოხვედრისთვის იბრძვიან „სენტ-ჯონსტონი“, „მადერუელი“ და „კილმარნოკი“. ხსენებულ ლიგაში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს: „გლაზგო რეინჯერსმა“, „სელტიკმა“, „ჰიბერნიენმა“, „დანდი იუნაიტედმა“, „აბერდინმა“, „დანდიმ“, „ჰართ ოვ მიდლოტიენმა“ და „ეირ იუნაიტედმა“.

„გლაზგო რეინჯერსი“	33	86:32	56
„ჰიბერნიენი“	33	67:36	47
„სელტიკი“	33	80:33	45
„დანდი იუნაიტედი“	33	68:41	43

ჰოლანდია

კიევის „დინამოს“ მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში — „ფშვ ეინდჰოვენმა“ გუშინწინ ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ენსხედეს „ტვენტე“ და სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. ლიდერს 49 ქულა აქვს.

ყოფილმა ლიდერმა — როტერდამის „ფეიენოორდმა“ II ადგილზე გადაინაცვლა.

ესპანეთი

გუშინწინ მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორზე ლიდერი და პრაქტიკულად ქვეყნის ჩემპიონი — ადგილობრივი „რეალი“ შეხვდა ბოლო ადგილზე მყოფ „რეალ მურსიას“. მადრიდელებმა რობერტო მარტინესმა, სანტილიანამ, ნეცერმა და ბრაიტნერმა 4 „მშრალი“ გოლი გაიტანეს მეტოქის კარში.

შარშანდელმა ჩემპიონმა „ბარსელონამ“ შინ მოუგო სევილიის „ბეტისს“ — 3:0. „რეალ სარაგოსამ“ ასევე შინ ფრედ ითამაშა „ელჩესთან“ — 3:3. „სალამანკამ“ და სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადმა“ ქულები გაიყვეს — 1:1. „ვალენსიამ“ თავის სტადიონზე აჯობა „ლას-პალმასს“ — 2:1.

ალიკანტეში ადგილობრივმა „ერკულესმა“ მოუგო საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელს — მადრიდის „ატლეტიკოს“ — 3:2. ანგარიში ალიკანტელმა ბარიოსმა გახსნა, მაგრამ შესვენებამდე მადრიდელმა ირურეტამ გაქვითა ეს გოლი. შესვენების შემდეგ მასპინძელმა ხუანიტომ მეორედ აიღო მადრიდელთა კარი — 2:1. მერე მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მადრიდელთა სტოპერი ერედია. მატჩის მიწურულს მადრიდელმა გარატემ საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე ბარიოსმა „ერკულესს“ გამარჯვება მოუტანა.

საუკეთესო სნაიპერები არიან გარატე („ატლეტიკო“) და სანტილიანა (მადრიდის „რეალი“) — 15-15 გოლი.

„რეალ მადრიდი“	28	58:27	44
„რეალ სარაგოსა“	28	45:37	32
„რეალ სოსიედადი“	28	32:27	31

(საქ. ინფ.).

ტომაშევსკიმ კარგად ითამაშა

რომი, 19 აპრილი. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის V შესარჩევი ჯგუფის წევრების — იტალიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების კალენდარული მატჩი. თამაში მასპინძელთა თვალსაჩინო უპირატესობით მიმდინარეობდა და მათ რამდენიმე უაღრესად სახიფათო მომენტიც შექმნეს სტუმართა კართან. მაგრამ პოლონელთა მეკარე ტომაშევსკი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და დაიცვა საკუთარი კარის შეუვალობა.

ვერც პოლონელთა კონტრიერიშებმა გამოიღო ნაყოფი და 90-წუთიანი მწვავე თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ჯგუფში ლიდერობას პოლონელები ინარჩუნებენ — 5 ქულა 6-დან. ორ-ორი თამაშის შემდეგ ჰოლანდიელებს 4 ქულა აქვთ, იტალიელებს კი — 1. ფინელებმა სამივე მატჩი წააგეს.

● ●

4:0

პრაღა, 20 აპრილი. კონტინენტის ჩემპიონატის I შესარჩევ ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა — აქ ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და კიპროსის ნაკრები გუნდები. მასპინძლებმა ყოველ ტაიმში ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და გაიმარჯვეს — 4:0.

სამი ბურთი პანენკამ გაიტანა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
ინგლისი	3	2	1	0	8—0	5
ჩეხოსლოვაკია	2	1	0	1	4—3	2
პორტუგალია	1	0	1	0	0—0	1
კიპროსი	2	0	0	2	0—9	0

ჩოგბურთელთა თხოვნა

მიუნხენი, 21 აპრილი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ილტფ) ხელმძღვანელმა კომიტეტმა აქ გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა თხოვნით მიმართოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოლიმპიურ თამაშებში სპორტის ამ სახეობის შეტანის თაობაზე.

უკანასკნელად ჩოგბურთელებმა ოლიმპიურ თამაშებში 1924 წელს (პარიზი) მიიღეს მონაწილეობა.

ახალი [illegible]-75

● *ვოლგოგრადი, 20 აპრილი. ორასზე მეტმა აკრობატმა, მათ შორის მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის თითქმის ყველა გამარჯვებულმა, იასპარეზა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. ხტომაში საუკეთესონი იყვნენ ტოლიატელი ნ. მალომოიშჩიკოვა და მინსკელი ვ. ბინდლერი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა შეიტანა თავის პროგრამაში სამმაგი ხალაყი. ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშში გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონებმა ი. ზოლოტოვმა, შ. ვილდანოვმა, ა. მაკაროვმა და ვ. სლეპოკუროვმა, ხოლო წყვილთა ვარჯიშში — ასევე მსოფლიო ჩემპიონებმა ვოლგოგრადელებმა ვ. ალიმანოვმა და ვ. ნაზაროვმა. ვორონეჟელ მეათეკლასელებს ტ. კრივცოვასა და ვ. კუზნეცოვს ორიგინალურმა და რთულმა პროგრამამ გამარჯვება მოუტანა შერეულ წყვილებში. ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში ბადალი არ ჰყავდათ მსოფლიო ჩემპიონებს ლ. გულიაევას, თ. დუბროვინასა და ტ. საბლინას (ტოლიატი). წყვილთა ვარჯიშში თასი კიეველ ტყუპ დებს — ვ. და ნ. ტიშჩენკოებს ხვდათ.*

● რიგა, 20 აპრილი. მხატვრულ ტანვარჯიშში გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონმა, სტავროპოლელმა ი. კირილენკომ აბსოლუტური გამარჯვება მოიხვეჭა ლატვიის მხატვართა კავშირის ტრადიციული პრიზების გათამაშებაში. მან ყველას აჯობა სალტით, ბურთით და ლენტით ნებისმიერ ვარჯიშებში და მრავალჭიდში ამ ტრადიციული შეჯიბრების სარეკორდო ჯამი დააგროვა — 29,45 ქულა. ხელოვნებისა და სპორტის ეს თანამეგობრობა აგერ უკვე 12 წელია გრძელდება. დღეს რიგელმა მხატვრებმა თავიანთი ახალი ნამუშევრები გადასცეს ტურნირის ლაურეატებს, რომელიც საბჭოთა ლატვიის ხელოვნების საგაზაფხულო დღეების ჩარჩოებში ჩატარდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66418 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03683